

შიდა ქართლის გუბერნიასა და სოფლის მეურნეობის კვლევით ცენტრს შორის მემორანდუმი გაფორმდა

22 დეკემბერი 2017

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმი რეგიონის სოფლის მეურნეობის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით ფერმერებისთვის სიახლეების, რეკომენდაციებისა და გამოცდილების გაზიარებას, თემატური სწავლებების ჩატარებას გულისხმობს. ღონისძიებას გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი ლევან უჯმაჯურიძე, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის პირველი მოადგილე იოსებ ოქრომელიძე, მოადგილე სიმონ გულედიანი და ფერმერები ესწრებოდნენ.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იური ნოზაძემ სახელმწიფოს მიერ რეგიონში განხორციელებულ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ რეგიონში სოფლის მეურნეობის მიმართულებით სხვადასხვა პროექტი ხორციელდება, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალურ ათვისებას. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებმა ადგილობრივ ფერმერებს მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის და დაავადებებთან ბრძოლის მეთოდებზე, სათესლე და სარგავი მასალი სეტიფიცირებაზე, ინსპექტირებასა და კანონმდებლობაზე, რეგიონში მეცხოველობის განვითარებაზე, მეხილეობაზე და დარგში არსებულ პრობლემებზე სწავლებები ჩაუტარეს. სოფლის მეურნეობის მეღვინეობისა და პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების სამსახურის უფროსმა დავით ჩიჩუამ კი ადგილობრივებს შიდა ქართლში მეღვინეობის პოტენციალი გააცნო. ღონისძიების ფარგლებში იშვიათი ვაზის ჯიშებისგან დაყენებული ღვინოების დეგუსტაცია გაიმართა.